საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CENTRE FOR STATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA
ჩვენ 20 წლის ვართ | CSRDG is 20 years old

№2-936

21.11.2016

www.moxmarebeli.ge
www.moxmarebeli.ge
საკითხს ამუშავებს

საქართველოს პარლამენტის :

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტების უსაფრთხოების შემოწმების მიზნით, 2016 წლის 31 ოქტომბერს თბილისის რამდენიმე მაღაზიაში შევიძინეთ ათი დასახელების თოჯინა, რომლებიც გავგზავნეთ გერმანიაში სათამაშოების უსაფრთხოების შემმოწმებელ აკრედიტებულ ლაბორატორიაში, რომელსაც უსაფრთხოების რამოდენიმე ქიმიური მახასიათებლის შემოწმება ვთხოვეთ.

ლაბორატორიიდან მიღებული პასუხების მიხედვით ათიდან ცხრა თოჯინაში აღმოჩნდა დიდი ოდენობით მავნე ნივთიერება დი-2-ეთილჰექსილფტალატი (DEHP), რომელიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა, რის გამოც მისი სათამაშოებში გამოყენება ევროკავშირში აკრძალულია 1907/2006 რეგულაციით (დაშვებული ზღვრული შემცველობაა 0,1 წონითი პროცენტი).

ბავშვთა ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან ასაცილებლად გთხოვთ მიიღოთ ზომები ამ მავნე ნივთიერების შემცველი სათამაშოების საქართველოს ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად.

პატივისცემით,

ლია თოდუა
პროგრამის დირექტორი

დანართები:

1. თოჯინების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები;
2. შემოწმებული თოჯინების ფოტოები;
3. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხები და შემაჯამებელი ცხრილი.

ქ. თბილისი, 0177, დელისის I შესახვევი 5ª
ტელ/ფაქსი: (995 32) 2399019, 2399018 ელ.ფოსტა: office@csrdg.ge http://www.csrdg.ge
5ª Delisi 1st Lane., 0177 Tbilisi / Georgia
Tel./Fax: (995 32) 2399019, 2399018 E-mail: office@csrdg.ge http://www.csrdg.ge